

1915

№ 18

17 მაისი 1915 წ.

მიიღება წილის მფლობელთა
შეზღვივისა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

10/11/15
N 24

ყოველ კვირეული საზოგადო. მკონო.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიზრი და სალიბერატურო უზრნალი

რედაქცია ლიანა 9-3 საათამდე.

წელიწადი მართხე

სამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დენეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ი მ ვ ი;

1. წახსულიდან. — ალექსანდრე ყიფშიძისა.
2. თექვსმეტი კბეკისთვე 1912 წ. — ეკალისა.
3. შოგონება. — შ. ამირეჯიბისა.
4. აჭარის კლდეებიდან „კლდეს“. — დ. კახელისა.
5. უზრუნველ ქართუელის დღიურიდან. — გ. აბ—ელისა.
6. გაზაფხულის ზღაპარი (მინიატურა). — ინ. ბანი.
7. ჩვენ და ცხოვრება. — ქართლელისა.
8. დეპუტატთა საკრებულის მიერ შოგონების განაწილების გამო. — სანდროშვილისა.
9. ამის წარადოქსი. — რ. გ—ესი.
10. გერმანიის ახალშენები აფრიკაში. — გ. ჯანაშვილისა.
11. ამი და ჩვენი შატკანე. — შამქორისა.
12. სხვა და სხვა ამბები.



გერმანული თხრილები საფრანგეთის ქერთ-ერთჭკალაქის სასაფლაოზედ

წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

მახსოვს... ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ამ ეპოქად მოგონების ფარდებში ვერ გავხვდები. მხოლოდ მოვიგონო ჩემის წარსულიდან ერთი კარი, ერთი ეპიზოდი, თუმცა დღეს, „სისხლის წვიმების“ დროს, უნებრბულია წარსულის მორევში ცურვა და ბანაობა.

შემოგომაა, ის არც და ხანა, როცა ასე ტურფაა და მშვენიერი შუაქართლი. ეშხადებიან დებუტატის ასარჩევად.

მთავრობამ ახალი საარჩევნო კანონი შემოიღო, ხუთის მაგიერ ერთი დებუტატი არგუნა წილად ამიერ საქართველოს. ვიფიქრე, ახლა კი მთელი ერთი შეირყევა და ეცდება ისეთი დელეგატი გაგზავნოს სათათბიროში, რომელიც თამამად და გაბედვით იტყვის — ჩვენ ქართველები ნაბუზრები არცა ვყოფილვართ და არც ვიქნებით. პატარაა საქართველო, მაგრამ აქვს საკუთარი, შეურყეველი და გარდუვალი უფლებანი. საჭიროა და სავალდებულოა შეღახულ უფლებების აღდგენა და დაბეჭვდა მისი ერის წარმომადგენელთა ბეჭდით. თან მადლიანის ენით, დამჯდარი ჭკუით და გონებით საოცნებო დელეგატი გადაშლიდა დებუტათა წინაშე ქართველ ერის საჭიროებათა ბოღჩას, სულიერს და ხორციელს და მოითხოვდა ჩვენის ტვივილების დაამებას. ქართველი ერთ ხომ შებაიროდღა წინა აზრის კუთხეში კულტურისა და სათნოებით მოსილ ქრისტიანობის. ქართველი ერის დვაწლი და ამაგი, მისი ისტორიული საეროვნო უფლებანი ხომ დღესავეით ნათელია, მაშ საჭიროა მხოლოდ ნიჭიერი, სულით სპეტაკი და ცოდნით მოსილი დებუტატი — დელეგატი, რომ შესძლოს ჩვენთვის ნათელი სხვისთვისაც ნათელი ჰყოს.

ასე ვოცნებობდით, ასე ვფიქრობდით და გავეშურე დაბა ცხინვალისკენ, სადაც დაენიშნათ წვრილ-ფეხა შემამულე ამომრჩეველთა კრება. მინდოდა სამოქალაქო ვალი მომეხადნა და ჩემი წვლილიც შემეტანა დაჩაგრულ ერის დელეგატის არჩევაში.

ტფილისიდან გორამდე ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. გული მეტკინა. მეგონა, აი საცაა ვიხილავ საარჩევნო ციებ-ცხელებას, ცხარე კამათს, სადებუტატო კანდიდატების მწუხარე და მოვლვარე სიტყვა-პასუხს. გორი გავერანებულ სასაფლაოდ მერყენა.

რის ციებ-ცხელება, რის პლატფორმა და ლობუნგები; რა დაგიკარგავს, რას ეძებს.

არც გორიდან ცხინვალამდე მომდენია არჩევნების სუნია. ერთი რამ კი ვიხილე, ვხედავდი, ერთი ხან ვინ ჩამომიჯდა და ხან ვინ, ჩემს უნებურად, დაუკითხავად. ნუ თუ მარტო ესაა ახალი! დალოცვილებმა ნება მაინც მთხოვე! მეცხოვრა ახალი ხილი და... დავლონდი.

საარჩევნო ციებ-ცხელება, გატაცება, ილტოთვანება, ჯველური სიფიცხე ვერც ცხინვალში ვპოვე. შევატყვე კი, რომ რაოდენიმე უწვერ-ულვაშო, უღაზათოდ ჩაცმული ჭაბუკი რაღაც ფუსფუსშია, უთავბოლოდ მირბის-მორბის და რას არიგებს, ვერ მიგზვდი. ვიფიქრე, ალბად ესენი ჯარისკაცებია მრველი და გენერლები და მღვდელ მთავარნიც, მაღლე გამოჩნდებიან მეტქი და გვაუწყებენ თვის პლატფორმას.

ვიცოდი შორიდან, რომ ჩვენში არსებობს ორი დაი-სოკიალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტებისა. მათი ლიდერებთაგანი არავინ მობრძანდა. ბურთი და მოედანი დარჩათ წვრილ-ფეხა და სრულიად მოუზადებულ ჭაბუკებს. ამა ესენი საიდან მიხვდებოდნენ, თუ რა ხილია, ან რა გემოსი ჭეშმარიტი პოლიტიკური თავისუფლება, აი ისეთი, როგორიცაა ინგლისისა. როგორ გაითვალისწინებდნენ იგინი, უწიფრონი და გაუწერტენელნი. თუ რა განძი და მარგალიტია ისტორიული უფლება ერისა და კერძოდ საქართველოსი და რა დიდი მხნეობაა საჭირო მის დასაცავად.

კრების განშორებით, წყნარად ვებაასებოდი ერთს ჩემს ნაცნობ თავადიშვილს. ალბად ეს იყო მიზეზი, რომ უცბად „მოგვიტა“ ერთი მეტის-მეტად უმნოთ ჩაცმული ჯველი და ბოდიშის მოუბდელად და გაუცნობელად პირდაპირ დამეკითხა:

- ამბობენ, კენჭი უნდა იყაროთ, აქ თქვენს გვარს ასახელებენ. განა ვინა ბრძანდებით?
- ალექსანდრე ყიფშიძე.
- არა, ისა სთქვით, რა პოლიტიკური რწმენისა. მე ყური მოვკარი, რომ თურმე თქვენ ავი მოგაქვთ ნაციონალისტობითო.
- დიან მართალსაც ბრძანებთ. მე ვახლავართ ქართველი ნაციონალი - დემოკრატი, ისე იგი ჩემი ერის მოტრფილე, მისის სევედა — ჭარბას მოსაიღუმლე, მისის ყოველგვარ უფლებების აღმსარებელი, ერთის სიტყვით მისი ერთგული დეიძლი

შვილი; მისი ქირი ჩემი ქირია, ხოლო მისი სიკეთე ჩემი პირადი სიკეთეა. მისი დიმილი მეც დინილსა მეგობრს, ხოლო მისი სევდა ნალვერდალით გულის მითაუთქავს. აი ვინ გახლავართ უცნობო, ლაღო და თამამო ჭაბუკო.

— როგორ თუ მოტრფიალე ერისა? გაიოცა ჭაბუკმა. ნაციონალისტი ხომ ქვეყნის მტერია და მოძულე მეზობლისა. აქ, ცხინვალში, ჩვენი დასია გაბატონებული და მაგ ლათაიებით ფონს ვერ გახვალთ, ღიასვი დაგახჩობთ. მომახალა ეს მწარე სიტყვა პირში და გამშორდა.

თამამი ჭაბუკის მუქარამ ვერ გასჭრა, ამომარჩეველთა სიაში მოვექცა. არჩევანი იმის არჩევანია, რომ ერთი წაიბოროტებეს, ხოლო მეორე ფონს მშვიდობით გავა. საყურადღებო აქ სულ სხვაა. ამ შვიდი-რვა წლის წინად სახიფათო იყო გეთქვა გულ ახდილად—ნაციონალ—დემოკრატი, ანუ ერის მოტრფიალე ვარო. ამის მთქმელს ფერდზე ბედაური უნდა გდგომოდა, თორემ ადვილად შეიძლებოდა კაი-კაი ეთუთქნათ, პანჩურის მიღება ხომ უბრალო საქმე იყო.

კარგი ხანია მას აქვთ, რაც ეს ამბავი მოხდა. ცხინვალის საუცხოვეო ეპისოდმა ჩაიღუპის წყალი დალია. იგი უკვე ისტორიას ჩაბარდა ერის შებღალულ უფლებას პატრონი უნდა გამოსჩენოდა და ავი გამოუჩინდა კიდეც. „ნუგზარ ერისთვის და სისხლის წვიმების“ დრო-ეპოქა ხელი შეუწყო ერის მოტრფიალეთა გუნდის მოლონიერება გამლიერებას და ეს ბუნებრივი ზრდა, რაც ხანი გავა, უფრო დიდი იქნება. ეს ასეც უნდა იყვეს, რადგან უფლება ერისა ის „პურიცა არსობისა“, ურთმლისოდ ქვეყანა ვერ ახერგებს.

ამ აზრის გამტკიცებას სამი წელაწადი ემსახურა კვირეული ჟურნალი „კლდე“. კვირაში ეთხელ საუბარი მწვავე საგანზე შეუფერებელი აღმოჩნდა დღევანდელ ვითარებაში. საჭირო გახდა ყოველდღიური, მუდმივი საუბარი ამ საგანზე თანამოაზრე მკითხველთან.

ეს გახლავთ უახლოვესი საბაბი ჟურნალი „კლდის“ გადაკეთებისა ყოველ დღიურ გაზეთად. ერის ტრფიალი, ესე იგი ნაციონალ დემოკრატიზა დღეს აღარაა საძრახი. ჩემი ცხინვალელი ცხარე მოკამათე, თუ ცოცხალია და გადარჩა უვნებლად მაშინდელ სოციალურ და პოლიტიკურს კორიანტულს, უკვეელია, სასტიკად აღარ მომეზურება: დაბრძენდებოდა, სხვა გუნებაზე დადგებოდა და გულის ყურს ჩვენსკენ მოხრიდა. შეურყვევლად მრწამს ესა.

უზარ-მაზარი ომი პირსა და სახეს, შეუცვლის ფეოდალსა და აზიის ნაწილს. მანვილს ქარქაშში ჩააგებენ, შესწყდება ზარბაზანთა კუბილ-გრიალი და დაიწყობენ ერთა უფლებებზე მსახურებად. ნეთ ამ წუთისთვის და მოქალაქეობრივის სიმბნევიტ დავიცვათ ჩვენი უფლებანი.

მაშ მშვიდობით, ძველო მკითხველო და დილა მშვიდობისა, ახალო.

ალექსანდრე ყიფშიძე.

16 ენკენისთვე 1912 წ.

„...ეს საფუძველი არის: ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შედუღებული საღ ნაციონალურ პოლიტიკით. მიტანა ერთ-ერთ ქვისა და გამოგრება ამ საფუძველზედ შეადგენს უმთავრეს მიზანს ჟურნალ „კლდისა“.

ჟურ. „კლდე“ № 1—1912 წ.

აი რა გეგმით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ ჟურნალ „კლდე“-ს პირველი ნომერი 16 ენკენისთვეს 1912 წ.

მას შემდეგ გაიარა 3 წელია.

გადაშალეთ მისი ფურცლები და დაინახავთ, რომ არც ერთ სტრიქონით „კლდეს“ ამ გეგმას არ აუხვევია.

პირიქით ყოველგან და საყოველთაოდ, გაბედულად და თავგამოდებით იცავდა მას და როდესაც და სადაც შეეძლო თავის პაწია ძალებით ატარებდა ცხოვრებაში და ანხორციელებდა თავის ნაწილ-ქადაგებას.

ამიტომ იმაყად შეგვიძლიან ჟურნალ „კლდის“ მოკლე წარსულსაც გადავხედოთ.

მოკლე იყო იგი, მაგრამ მძიმე.

მძიმე იყო იგი, რადგანაც ცოტანი ვიყავით.

ცოტანი ვიყავით და გარსშემორტყმულნი ქართულ ცხოვრებაში გამეფებულ უიმელობით და სკეპტიციზმით.

ბევრჯელ „კლდის“ მუშაობა მითოლოგიურ სიზიფის ტანჯვის მოგაგონებდათ, როდესაც ატანილ შიდალ მთაზედ ქვა გორა უკან უგორდებოდა. ბევრჯელ ქართულ სკეპტიციზმმა ეს ქვა ხელიდან გაივლებინა.

მაგრამ ამან არ შეაშინა „კლდე“.

პაწია ჯგუფი „კლდისა“ სიყვარულით საესე

თავის სამშობლო ერისადმი. ბეჯითად უვლიდა მის მძიმე საკითხებს, რომლებიც მრავლად ხვდა მას წილად ამ სამი წლის განმავლობაში.

მე არ შეუდგები აქ „კლდის“ ნამუშევარის აღწერას.

ეს ობიექტიურ მემატეანების საქმეა.

და არც საჭიროა. სამი წელი არც ისეთი გრძელი ხანაა, რომ ქართველ მკითხველს შეხსიერებიდან გაუქრეს იგი,

შეიძლება მართო ორიოდ სიტყვაში გაეხსენოთ „კლდი“-ს ნამუშევარი:

ყურნალ „კლდე“ გატეხა უიმედოთი დაბურული ჩვენი ცხოვრების ტყე. გაქრა ბილიკი საიმედო ქართულ ეროვნულ მომავლისაკენ და გაამაგრა ერთი კუთხე ამ მომავლის საფუძვლისა.

ეხლა, აუცილებელია ამ გზის გადიდება და კიდევ მრავალ ქვის მიტანა ამ საფუძვლის საბოლოოდ მოშენება გამაგრებისათვის.

ამისათვის საჭიროა შეერთებული ძალა მრავალ მედგარ მუშაკისა. ესეც „კლდი“-ს მეცადინეობით კიდევ მიეწყო.

„კლდი“-ს „ჯგუფი დღეს გაიზარდა, გაძლიერდა მის წინა რიგში ეხლა მრავალი მებრძოლი ახალგაზრდბა ითვლება, რომლებმაც „კლდიდან“ ნამდვილი საქართველო დაინახეს და შეიყვარეს.

სიყვარული კი რას არა სძლევს?

ყურნალმა „კლდე“ თავის წინასწარი მუშაობა დაამთავრა.

ახალი და დიდი მუშაობა დღევანდელ დიად ხანაში მას აიძულებს გამოვიდეს უფრო სავსე გემით და მჭრელ იარაღითა:

ყოველ დღიურ გაზეთის სახით.

ყურნალი „კლდე“ ამ უკანასკნელ ნომრით ემშვიდობება თავის ძვირფას ქართველ მკითხველს და იწვევს მას ყოველ დღიური გაზეთი—„საქართველო“—ში.

ეკალი

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

ვწერ ამ წერილს, უკანასკნელ ნომრისთვის და ეხლაც იმ მღელვარებას განვიცდი, როგორც მაშინ, როცა „კლდისთვის“ პირველ წერილს ვწერდი.

ასე არის ხოლმე თეატრში, დრამის პირველ და უკანასკნელ მოქმედების ცქერის დროს.

ჩვენ რომ პირველად გამოვედით—არავინ გვიცნობდა.

მაგრამ ჩვენი უპირატესობა ის იყო, რომ სამაგიეროდ, ჩვენ ყველას ვიცნობდით. ჩვენ ვიცნობდით ყველა ძველ ღმერთებს ლეგენდულ პარნასის ასე ყველა კერპებს პოლტრუქტის რელიმბისას. და ჩვენც თამამათ უთხარით მათ.

— რას კითხულობთ საიდან მოვალთ? ხომ იცით სად მივალთ!

ღმერთებმა მრისხანედ შემოგვხედეს.

ისინი გაწვინენ ჩვენს გზაზე და გვითხრეს:

— თქვენ გადივლით მხოლოდ ჩვენ გვამებზე!

ტანში ჟრუანტელმა გაგვიარა.

ნელა შევეჩეთ მათ გვამებს. ბევრი იყვნენ.

ღვთაებრივ ტანზედ ფეხის დადგმა ფეხის გულებს გვწვავდა, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივდიოდით.

და სასწაული სასწაულს მისდევდა.

იყვნენ ისეთი ღმერთები—რომლებიც უკან აგვედევნენ. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გზაზედ წოლა მოეწყინათ.

უკანასკნელები მედილურად წამოდგნენ და ისევ პიედესტალებზედ შესდგნენ.

ალბად გინახავთ ეკლესიებში დიდი შანდლები, გარუჯულნი და სანთლით მოთხვრილნი—ამ ღმერთებს მათი სანახაობა ჰქონდათ.

ჩვენ ვნახეთ შემდეგ, რომ ამ შანდლებზედ იმდენი სანთელი აღარ ინთებოდა, როგორც უწინ.

ასე გაიარა სამმა წელიწადმა.

როცა ეხლა იგონებ განვლილ წლებს, განვლილ ამბებს—გული ჰფეთქს. ექვები აღარ არის და ღიმილით იგონებს მარცხს.

პირველი ხანები ისე მოეწყო, რომ რომელ საკითხშიაც კი ჩაგვებით—ყველგან დავმარცხდით.

— როდის გავიმარჯვებთ? ვეკითხებოდით ერთმანეთს.

და კვლავ მივდიოდით.

მივდიოდით ახალ საკითხში, ახალ საქმისათვის. გააშავეს ანდრონიკაშვილი, გააშავეს თავადი ბაგრატიონი, გააშავეს გენერალი გაბაშლავილი, ჩვენ ზიზლით გვიხსენიებდნენ.

— ახალგაზრდები და რეაქციონერები! ჰკვირობდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი და ეს ბევრ გულუბრყვილოს სჯეროდა.

პოლიტენიკუმში, კახეთის რკინის გზა, პოლემიკა სომხებთან, პოლემიკა ქართულ გაზეთებთან—

სისხლად უფრო მეტად ღირდა, ვიდრე შეღწეულად.

სომხებთან პოლემიკამ იმ ზომას მიახწია, რომ საქირო გახდა პირისპირ მათთან მოლაპარაკება. ამ დროს თბილისში თავ. არღუთისკი ჩამოვიდა და მან მოახერხა ქართველი ჟურნალისტები და სომხები ერთმანეთს შეხვედროდნენ.

პირველი კრება „თემის“ რედაქტორ თ. გიგო დიასამიძის სახლში მოხდა. ლაპარაკობდნენ ცხარედ, ვნებით, მაგრამ ინციდენტი არ მომხდარა.

სომხის კოლეგებს პირზედ სულ სიტყვა „კლდე“ ეკერათ.

მაგრამ პირველ კრებისა და მეორე კრების შორის ერთი გარემოება მოხდა. ჩვენმა რედაქციამ რუქა გამოსცა, რომელიც კავკასიის გუბერნიათა გამიჯვნას შეეხებოდა, მე წერილი დავამზადე ამ რუქისთვის და მეორე კრებაზედაც სომხებთან მარტო მე და ი. დიასამიძეს მოგვიხდა წასვლა, რადგან ჩვენს მეგობრებს ამ დღეს დებუტატთა საკრებულოში დიდმნიშვნელოვანი კრება ჰქონდათ.

კრება ჩვენზედ, „კლდეისტებზედ“ იერიშის მოტანით დაიწყო. სომხებმა ჩვენი წერილი „დანოსათ“ მონათლეს და ლაპარაკის კილოზედ ეტყობოდათ, რომ ჩვენ, როგორც ასეთებს არც კი გვქონდა ზნეობრივი უფლება ამ კრებაზედ დასწრებისა.

და მაშინ დაფრწმუნდი, რომ ჩვენ „კლდეისტები“ არ უყვარდით არა თუ სომხებს. თვით ქართველ ჟურნალისტებსაც.

არც ერთმა მათგანმა არ იკისრა ჩვენი დაცვა და ზოგიერთები სომხებსაც კი მიემბრნენ ჩვენს წინააღმდეგ.

მე ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ იმ კრებაზედ ჩვენ, როგორც ჟურნალის წარმომადგენლებმა, დავიცავით ჩვენი ღირსება, მაგრამ საწყენი ის არის, რომ ეს ჩვენ ქართველ თანამოძმეთა დაუხმარებლად მოხდა.

ისინი ჩვენ რეაქციონერებად გეთვლიდნენ და არ იკასრეს ჩვენზედ მართალი სიტყვის თქმა.

სიტყვა „რეაქციონერი“ საგანგებოთ ჩვენთვის შექმნილი ეპიტეტი გამოდგა.

მეტადრე მაშინ, როცა ხიზანთა საკითხი წამოდგა ჩვენს წინ.

მაგრამ ჩვენ ამის არ შეგვეშინდა. ჩვენ შორის ოცი ისეთი პირი, რომელსაც შეეძლო მახვილის აღება საბრძოლველათ. და ეს პირი იყო არა ახალგაზდა „კლდეისტი“ — არამედ ჭალარა შერთული და ბევრის მნახველი ა. ფრონელი.

საკმაო იყო მას წერილები დაეწერა და რომლები შეიცვალა.

თუ აქამდის ჩვენ, ახალგაზდებს, პერენტიან პუბლიცისტებთან გვიხდებოდა კამათი, ეხლა ხნიერობა და გამოცდილება ჩვენს მხარეზედ იყო და ა. ფრონელს მეორე ბანაკიდან ახალგაზდები გამოედევნენ.

ესენი უნდა არ. ჯ — შვილი და თ. ლლონტი. შეუძლებელია პატარა წერილში ყველა მამენტის მოგონება. პირადათ ჩემთვის ამ მოგონებაში ბევრი რამ ძვირფასია და შემდეგისათვისაც არ იქნება მოკლებული საზოგადოებრივ ინტერესს.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჟურნალი „კლდე“ გამოვიდა ისეთ დროს, როცა ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ფსიხოლოგიური ცვლილება ხდებოდა.

პოლიტიკაში ყველაფერი ძველი იყო, მაგრამ ქართული შემეცნება ახალ მშობიერობას განიცდიდა.

მან იცოცხლა სამი წელიწადი იქამდის, ვიდრე მსოფლიო ომმა არ შეარყია მთელი ცხოვრება.

და ეხლა, როცა მას სურვილი აქვს გაზეთის სახით წარუდგეს მკითხველ საზოგადოებას, დარწმუნებული ვარ ძველი აღთქმები, უფრო გამტკიცებული გამოცდილებით, უფრო ცხოვლათ იჩენს თავს ახალს გამოცემაში.

იგი იქმნება მხოლოდ გაგრძელება დასაწყისისა.

ამიტომ ერთათ ერთი, რომელიც კი უნდა უთხრათ ჩვენ მისმა თანამშრომლებმა „კლდეს“ — ეს არის პოეტის სიტყვები:

„გიგონებ შენ და ისევ ხალისით ჩვენს მწარე მიზანს ვემსახურებით!“

შ. ამირეჯიბი.

აჭარის კლდეებიდან — „კლდეს“

(სახუდი და კაკონიდი)

ბრწყინვალე დღე.
არე გაზაფხულისა!
გადიდებული ქოროზი აბუზული და გაჯავრებული ბურდღუნით მიექანება შორეულ შავ ზღვისაკენ.

რასა ბურდღუნებს?
რას აბუზულთა?

დაამტვრდით მის პრაზიან ტალღებს და გაიგებთ მაშინ ამ ბურღლუნის მიზეზსაც.

აგე, მიასკდა კლდეს ღარიბ აჭარელის ნაფი და ნაკუწ-ნაკუწად იქცა:

აგე, მოტივტივებს სახლის სახურავი, ფიცრები, რკინის ბუხარი, სკამები, დამტვრეული მაგიდები...

აგე, უცნაურად, შუა ქოროხში მოცურავს რაღაც შავი საგანი და თანაც იწვის და მისი ბოლი უკანა გრძელ თეთრ კვალსა სტოვებს წყლის პირზედა.

ეს მარნის ნაფი მოცურავს და იწვის...

განზრახ ღუთის და ქვეყნის სასაყვედუროთ მოცურავს და არ ჰჭრება.

მდინარე ქოროხი მოაქანებს მშფენიერ აქარის ნაფოტათ აკუწულ დოვლათსა!

მიაქანებს ზღვისაკენ და თან ბურღლუნებს.

და აბუზული გაბრაზებულათ გასცქერის აქეთ-იქით.

ვის მივასკდეთ... ვიზედ ვიყარო ჯავრიო ამ ღუთის ქვეყნის აოხრებისათვისო!

ქოროხის ნაპირას შარა გნით ნელ-ნელა მივათრევთ სამთო ხარბაზნებს.

მე და ჩემი თანამგზავრი დარბაისელი: არტილერისტო რუსი პრაპორსჩიკი ბ—ნი, ამ საშუხარო სურათს ვუცქერით და ორივენი თავის ფიქრებში გაბმულნი ვართ.

„აი რა შედეგი მოაქვს ქვეყნის დალატსაო!“ — მოკლედ გადმოიხროლა პრაპორსჩიკმა და თანაც ხელი გამიშვირა ქოროხისაკენ.

მე გადავხედე ჩემს უნებლიეთი კოლეგას და ნაწყენი ვკითხე:

- ეს ვისზედ ბრძანებთ?
- რასაკვირველია აჭარლებზედ!
- რამდენი ხანი ბრძანდებით აქა?
- სამი კვირეა.
- სად მსახურობდით ამ დრომდის?
- ვიატკის ერობის გამგეობის წევრი ვახლავართ, — ამაყად მომიგო მესაუბრემ.
- გაქვთ წარმოდგენა აჭარაზედ და მის ხალხზედ?
- ძალიან ცოტა.
- მათ დალატზედ?
- გაცნობილი ვარ.
- მაგალითად.
- აი, გადახედეთ ქოროხის იქით ნაპირას.

ხედავთ იმ სოფლის ამწვანებულ არე-მარეს, ეს ბურღლი დათესილი სახნავებია. აჭარაში პურს არ სთე-

სვენ და ეს ოსმალეთის საკვებად დამზადებულია. მათი ემისარები ომის წინა დადიოდნენ და პრობა განდას ეწეოდნენ — პური დათესეთო.

— ეს ყველაფერი სამ კვირას დასრულდა, თუ ვიატკაშიც გაგებულნი ვქონდით — იმისთვის შეგვეკითხე მე.

— რა ძნელი ვასაგებია, მიხედრილი ადამიანი, ბათომ-ართვინის გზაზედ ერთხელ წამოსული, თვალის გადავლებით ამ პაწია კუთხის შეურნეობას გაიცნობს. ეს თამბაქოს და სხვა ძვირფას მცენარეთა ქვეყანაა. რა უნდა აქ პურსა.

— უკაცრავად — შევაწყვეტინე სიტყვა ჩემს უცნაურ ნაცნობს — თქვენ რასაკვირველია საქართველოსაც გაიცნობდით, როდესაც თბილისიდან ბათომში მოემხავრებოდით. ვაგონის ფანჯრიდან დაინახავდით, ნეტა რა აზრისა ხართ მის შეურნეობაზედ?

— თქვენ ოხუნჯობთ, მე კი მართალს გეუბნებით. დაკვირვებულ კაცს ასეთი უცნაურობა უსათუოდ თავში ეცემა — არ მნებდებოდა გულოუბრყვილო რუსი ინტელიგენტი — პრაპორსჩიკი.

— ჯერ თქვენ ძალიან სცდებით, რომ მე ვოხუნჯობ — ვუბასუბე მე მე ნამეტნავად მწყინს, რომ თქვენ, რუსეთის ერობის მოღვაწე, ასე ზერულად და უკოდინარად სჯიო და ამით თავსა სჭრით შთელ ქვეყანას.

აჭარას, გაჩენის დღიდან პურიც და სიმინდიც მოჰყავს საცა კი ტოფოვრაფიული პირობანი ამას ხელს უწყობს იკითხეთ ყველგან და ამაში დარწმუნდებით. მაშ ეს რა საბუთია აჭარლების დალატისა? წყრომით ვკითხე პრაპორსჩიკს — აი, თქვენ, რუსის ინტელიგენცია ასეთი ცოდნით გვებურობით ჩვენა, რა ხერი უნდა დაგვემართოს... მეტად საწყენია და მასთან დიდი დანაშაული ასეთი თქვენი ქცევა. მერმე თქვენ იცით, რომ აჭარა საქართველოს ღვიძლი ნაწილია? რომ აჭარლები ქართველები არიან. და მათი შეურაცხყოფა ქართველების შეურაცხყოფა არის? რომ ყოველი ქართველი თავს დასდებს, როგორც სდებს მას დღეს და საელეთზედ რუსეთის სადიდებლად და ამ თავის მნიშვნელოვან კუთხეს არავის დაუთმობს.

ხომ არ იცით? მაშინ შეგვეკითხეთ.

ხომ ქართველებსა მოდალიტელა არა სცნობთ, თუმცა ისინიც სხვათა შორისაც „პურსაც სთესვენ“.

— უკაცრავად მე თქვენი წყენა არა მსურდა. ძალიან მოხარული ვარ რომ შევვხვდი აჭაურ კაცსა, იქნება ვცდები, რადგანაც როგორცა ვსთქვი ძა-

ლიან ცოტა ვიცი აქაურობისა. მაშ შიამბეთ და ამინსენით აქაურობის ამბავი. რა მოხდა, რა ჩაიღინა აქარამ, რომ ასე სასტიკად ვეჭვავით მასა? ცოტა შერცხვენილი მკითხავდა რუსი კაცი.

დ კახელი.

უზრუნველ ქართვე- ლის დღიურიდან

ათას გვარ მწვავე „წყვეულ კითხვებისგან“ გაბორუტებული და მოუსვენარი, ამასთანავე უსაფანო და გაუკიოხავი, დიდხანს ამოოდ ვეძებდი თანაგრძნობით გამოწვედენილ ხელს და „თავშესაფარს“.

ბოლოოდლა, ბოლო დროს „კლდეს“ რომ შევეყვოდლე, — ცოტა არ იყოს, დამშვიდებით ამოვიხუნთქე, გულს მოეფონა და ფორიატებული ნერვები თანდათან სტბრებოდნენ, ვინაიდან, „შინაგან ცენზურისაგან“ მაინც თავისუფალს, სიტყვას შუახე არავინ მიწვევტდა.

თქვენ შეგეძლოთ საფსები, არ გაგეზიარათ „კლდის“ შინაარსი, მხგრამ, ამასთანავე, არ შეგეძლოთ ანგარიში არ გაგეწიათ იმისი პირ-მოთნეობა მიკიბულ-მოკიბულდებს მოკლებულ რწმენისადმი, პირდაპირობისათვის...

რა თქმა უნდა „ბარის“ სივრცე-სიფართოვე, მისი „ნაყოფირება“ და მრავალფერობა, უფრო იზიდავს ადამიანს „უზრუნველყოფის“ მოსაწყობად, მაგრამ რას იზავთ, როცა ადამიანთა შორისაცა-ინან ისრეთი „ხვესურნიც“, რომელნიც სალ კლდებზე ტანჯულ-წამებულ ცხოვრებას არას დროს არ გასცვლიან ბარში უზრუნველად ყოფახე, დიახაც, რომ მათ ურჩევენათ:

„სალი კლდე, — თოვლიან-ყინულიანი
ორნი რომ ბუდობს, ჩანჩქერიც
გადმოაქტესს ბროლი წყლიანი“...

დიაბ, სწორედ ადამიანებისავე გრძნობა-რწმენის კლდესებური სიმტკიცე პქმნის მათსავე ისტორიის აფკარგიანობას...

ნათქვამია: „სხვის მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო“: ჯერ ჩვენ თვითონ უნდა ვისწავლოთ ფეხზე დგომა და გაბედული სიარული; სხვის უღალოდ ჩვენ თვითონვე უნდა შევძლოთ ჩვენი თავის მოვლა, რომ „ქვეყანამ ჩვენც ერთ კაცად გვიწამოს“ და შემდეგ სრული უფლებით და ღირსეულად

დაც ჩავებათ საერთო, საკაცობრიო ფერხულში. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევქმნით ჩვენს და ჩვენ დაბეჩაფებულ ქვეყნის კეთილდღეობას, როდესაც ღირსეულად შევიგნებთ ჩვენს თავს და ჩვენი რწმენა მისწრაფებაც იქნება კლდესაებრ „სტბრებულ“ შეურყეველი; როდესაც ცხოვრების ჰეკა-ქუხილი არ დაგვიმონებს და დაგვაბეჩავებს და თვის წინაშე კლდესაებრვე თავს ვერ მოგვახრევეინებს...

დღეიდან ამ თავშესაფარ „კლდეს“ ვეთხოვებით, ვინაიდან გადასულას ვაპირებთ სამშობლო-„საქართველოს“ მიდამოებში იმ რწმენით, რომ ჩვენს მრავალფეროვან — „ცა-ფირუხ ხმელეთ ხურმუხტოვან“ მხარეში, უმაღლ შევხვდებით დარაჯად მდგომ სხვა კლდეებსაც, — უფრო ამაყათ, ცამსე აწვდენილთ, და მათსავე მიბადვით ვისწავლით და შევიგნებთ შეურყეველ რწმენას და გარდუვალ სიყვარულს ჩვენი მხრისას...

მაშ „საქართველოს“ ზურმუხტოვან კალთებზე შესვედრამდის, მეგობარო მკითხველიო!...

გ. ახ — ელი

გასაფხულის ზღაპარი

(მინიატურა)

პირმკინარა მხემ მადლიდან გადმოიხედა და ზღვის სარკეში ჩაიხედა.

ზღვა სიამოვნებით გაიზმორა, მძლავრად ამოისუნთქა, ცას ოქროს ტალღები შესტყორცნა და აღტაცებულმა შესძახა:

— შენია ეს, ცავ! შენია?
ცა მიინახა.

ძლიერმა ქარმა დაპბერო.

ცამ შუბლი შეიკრა.

ზღვა აიშრიზა, გაჯავრდა, კუნაბეტი ტალღები მადლა შეისროლა და ცას კიდევ შესძახა:

— ესაც შენია, ცავ, შენია, დასტკბი!
ცამ კმაყოფილებით გაილიმა.

ინ-ბანი.

1915 წ. მაისის 4-ს.

ჩვენ და ცხოვრება

დღე არ გავა, რომ ჩვენში ახალი საზოგადოება არ დაარსდეს, დღე არ გავა, რომ ამ საზოგადოებათა სახელით ფული არ იკრიბებოდეს. ცოტ-ცოტად, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ქართველის ჯიბიდან მიდის ფული. დანიშნულება? რამდენიც გნებავთ. მაგრამ რამდენად მიზან შეწონილია დღევანდელ ცხოვრებასთან, ეს ალღოაჰმა უწყის. ოღონდ ერთ რამეს შევნიშნავთ, თითქმის ყოველგვარი შეწირულობა, ყოველგვარი ქველმოქმედება ჰხდება რომანტიულ ნიადაგზე. ქართველი ერთი კოლექტიური ზერელე კულტურტრეგერად გარდაიქმნა, რომლის მთავარი მოქმედება ზერელევე ფაქტობაში გამოიხატება, ვიდრე ნამდვილ საქმიანობაში. ყვირილია, მაგრამ ისეთ რამეზე, რაც სულს კი არ გვიკოდავს, არამედ ნეკს, ცერის ფრჩხილსა გვტკენს. აიღეთ მაგალითად, გინწაზია-პროგინაზიების დახსნა, თეატრის აგება, ზეპირსიტყვაობის კრება და მრავალი სხვა. რა თქმა უნდა, თავისთავად თვითნებური მათგანი ძვირფასი რამ არის, ჩვენ სწავლაზე გვჭირია, ეს-თეტიური აღზრდაც, ზეპირსიტყვაობის მოკრებაც, მაგრამ დღევანდელ დღეს, როდესაც ზარბაზანთა გრილმა ქვეყნიერების ქაზრაკი აღმაცერად შეაყი-რავა, როდესაც დიდ სახელმწიფოთა ცხოვრებაც კი ანორმალურ ნიადაგზე მოიქცა, მასთან ჩვენი ცხოვ-რებაც ააქოთა, — ასეთი საქციელი დაუჯერებელ ამ-ბად მიგვაჩნია. ჩვენ ხომ არასოდეს გვიზრუნია მო-მავალზე, არა თუ არ გვიზრუნია, არც კი გვიფიქ-რნია თუ შესაძლებელ ამა თუ იმ ჭირისთვის რანა-ირად გაგვეცა პასუხი. ქართველი ერთი ჭრიჭინაა, მხოლოდ დღიური ლუკმით კმაყოფილდება, დღე-საც, ამ საშინელების დროს, ასე უდარდელ ერს არსადა ნახავთ, წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივ „მრავალ ქამიერს“ ჯერაც იერი არ შეკრთომია! და ეს მაშინ, როდესაც ცხოვრება ანგარიშის გასწორებას გვთხოვს, ეს მაშინ, როდესაც შიმშილობა დღითი დღე ფრთასა ჰშლის! რა ვქნათ, რა ვიღონოთ? ამას არავენ გვეკითხებათ. ეს სიკვდილის განაჩენზე ხელის მოწერას ნიშნავს, აუთრთოლებრივ, გულგრილად, ერს მოჭირისუფლედ არც კი უჩანს, რომ თვალი ვი-ნშემ აუხილოს. თუ სხვა არავენ გვეშველება, ჩვენ თავითვე დავებმაროთ. ერთმანემეთს, შევაერთოთ ეს საზოგადოებანი, დროებით შევაჩეროთ კულტურაზე ზრუნვა და ვიფიქროთ ფიზიკურ არსებობის შესა-

ნარჩუნებლად, ვიდრე კრიზისი გაივლიდეს. ხომ ვხე-დავთ, დღითი დღე ცხოვრება რთულდება, გზები იკვრება, ხშირად რაც წინად ერთ კვირეში შეგვეძ-ლო ერთურთში გაგვეტანა ეხლა თვეებია საქირო-უმთავრესი საკითხი დღეს ქართველ ერსთვის არის პურის საკითხი! ჩვენი მშრომელი საზოგადოება, ჩვენი მარჩენელი შინ აღარ გყვანან. ძნელად თუ ნახნავ-ნათესი ვისმეს მოგვოვება და თუ მოვოვება, შინ მოტანა და მოლოწვა გაუჭირდება. ესეც არ იყოს, ამინდმაც ჩვენზე მოიცალა, ავდარმა და სეტ-ყვამ გაგვინადგურა ხეხილი, ვენახი, არც თუ ნა-თესს დაადგებათ კეთილი. პურს კი სხვა მხრიდან ვერ მოვზიდავთ, ვერ მოვზიდავთ არა იმიტომ, რომ რუსეთში თუ სხვა ქვეყნებში, პური არ იშოვებო-დეს აქ შემოსატანად, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ არ მოგვეპოება მეთარსნე, მზრუნველი. ყველას, გარდა ქართველი ერისას, ჰყავს ეროვნული კომი-ტეტი. ეროვნულ უბედურობის თავიდან ამცილებე-ლი საზოგადოება, ქართველს კი... სხვათა დამხმარე საზოგადოების უნარი შერჩა ვიდრე საკუთარ თავზე ზრუნვა. ამაზე მას თვით ფიქრიც კი აშინებს, ფიქ-რი, რა არის, მთავრობამ სხვაფრივ არ ჩამომართვა! სო. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მაშინ ხომ რამო-დენადმე უზრუნველყოფილი ვიქნებოდით და ჩვენც, როგორც რუსეთის ერთა სწორუფლებიანი ერს, გვექმნებოდა რაიმე ფილიალური განყოფილება რუსთა დამხმარე კავშირებთან, რომ სესხი აგველო, დროებით გვეპატრონებინა ჩვენი თავისთვის ამ მძი-მე და აუტანელს პირობებში. მაგრამ რაკი ეს ასე არ არის, რაკილა ჩვენ მეთაურთა უთაობამ საშინელ კრიზისამდე მიგვიყვანა, ჩვენ დაგვზრუნია ერთი გზა ხსნისა, ჩვენვე ვუშველოთ თავს და ახლავე მოვიწვიოთ ჩვენი მეურნენი და მათთან ვითათბი-როთ, რა ვქნათ, რა წამალი მოვუნახოთ ჩვენს ხალხს შიმშილობასთან საბრძოლველად, ეს იმ შიმ-შილობასთან, რასაც დღითი დღე უფრო მწვავე სა-ხითა ვხედავთ, რაზეც მოსთქვამენ ჩვენი სოფლები, მთელი მხარე გურია-სამეგრელოსი, რასაც სასოწარ-კვეთილების ნიშნში რამდენიმე ოჯახის ბურჯთა თავის ჩამოხრჩობამ მოგვცა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი, როგორ იქცეოდა ესა თუ ის ერთი დიდ განსაცდელის დროს, ვთქვათ, თუნდა საფრანგეთი დიდი რევოლუციის დროს, ან და დღეს კიდევ გერმანია? ჩვენ ვიცით, რომ პირველმაც და მეორემაც დიდი ყურადღება მიაქცია კარტოფილს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დღეს გერმანიამ ქალაქის მოედნებიც კი გადახნა და კარტოფილით



გარიყული გერმანული ნაღმი



ფრანგული თოფ-ტყვიისმფრქვე-
ველი, სუბუქი სატარებლად
და ძლიერი



მოსთესა. ჩვენც შეგვიძლიან მივბაძოთ მათს მაგალითს. ამ შემთხვევაში გერმანიასთან ის უპირატესობა მაინცა გვაქვს, რომ მოედნებისა და მწირი ადგილების გადახვნა არ დაგვჭირდება: ჩვენ ისედაც ბლომად მოგვეპოვება სახნავეი და ნოყიერი დაუშუშავებელი მამულები. ვფიქრობთ, ჩვენი დალოცვილი მიწა სამს სეზონში თამამად მოგვეცემს კარტოფილს, რაიც, როგორც ვიცით, თითქმის ექვსი კვირის განმავლობაში ასწრობს მოსვლას და მომწიფებას. მაშასადამე, ჩვენი უმახლობელესი საკითხი აგრანომების მოწვევაა, მათთან რჩევა, სწრაფად ბროშიურებისა და მოწოდებების დაგზავნა ჩვენს სოფლებში და განსაკუთრებით იმ მხარეში, სადაც შიმშილობის აჩრდილი თავს წამოდგომილა. ვურჩიოთ, ვასწავლოთ ყველას, რომ არსობითი პური კართოფილში მაინც დაინახონ, თუ ხორბალი და სიმინდის შემოზიდვა გაჭირდა. მაშ ასე, არც კმარა გახეთის ფურცლებზე შიმშილობის აღნიშვნა, არც ისა კმარა ვიწუწუნოთ და მოთქმით ავტუროთ

მთა და ბარი, რა გვეშველებაო. შველა ისევ ჩვენ ხელთ არის. ოლონდ ნუ ვიქსაქსებით, ოლონდ ტყუილუბრალოდ ნუ ვკარგავთ დროს, ოლონდ თავი დავალწიოთ ჩვენს დამლუპველ რომანტიკოსობას! ჩვენი ერი უღარიბესი ხალხია დედამიწის ზურგე. ყოველი გროში სისხლად ფასობს. მისი მოკრება სხვათა დასახმარებლად ცოდვაა იმ დროს, როდესაც თვით მას შიმშილით კუჭი უხმება, დახმარება იმ დროს, როდესაც არ ვიცით, მართლა რამდენად აღწევს დანიშნულებას ეს სისხლით გაღებულ გროში, — ყოვლად გულუბრყვილო ამბავია ჩვენს ისტორიაში. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ დღეს, აქარელთა სასარგებლოდ მოკრებილი ფული, რამდენადაც ვიცით, მეტად აღმაცერი სახით აღწევს დანიშნულებას, ე. ი. „для пострадавших христианъ“... და, მოგეხსენებათ, ასთი „ქრისტიანი“ მოსახლეობა, ვგონებ, აქარაში თითზე ჩამოსათვლელნი იქნებიან, ისიც, არა ქართველი ელემენტები... მაშასადამე... დასკვნა თქვენზე მომინდვია, მკითხვე-

ლო. თქმა არ უნდა, კარგია თეატრიც, მან დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ეროვნულს გათვითცნობიერებას, იგი ერთ დროს ნამდვილი ეროვნული ტრიბუნაც იყო, მაგრამ რას ვაქნევ მის არსებობას, თუკი იგი დარჩება გაუქმებულ დაძრად, რომელსაც ეშმაკები თუ დაებატრონებიან. იმის წინააღმდეგეც არა გვაქვს რა, რომ ზებირსიტყვაობისთვის ვავილოთ თუელი, ვიმსჯელოთ გრამატიკულ ფორმებზე, ვინარუნოთ ლექსიკონების გამოცემაზე, მაგრამ თუ ხალხი არ გვეყოლება, რა თავში ქვის საბლედად გვინდა ან ერთი, ან მეორე? რაც შეიძლება სასწავლებლების დახსნა და დახმარებას, ეს ხომ... ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან ვიცით, თუ რა ტიპის სასწავლებლებთან გვაქვს საქმე და რამდენად სასარგებლოა ჩვენი დღევანდელი გიმნაზია-პროგიმნაზიები...

მეტად შემცდარი იქნება, თუ ვინმე ამ წერილიდან ნილილისტურ აზრებს ამოიკითხავს, არა ჩვენ ვსთქვით ის, რასაც ცხოვრება გვიკვრნახებს, რასაც კეთილი გონიერება გვეუბნება. დაე, გაუქმებულ იქმნეს ყოველგვარი საზოგადოება, მოისპოს უქმი ლაყობა ათას რამეზე და დავაარსოთ, თუ გნებავთ, ერთგვარი ეროვნული ხსნის კონიტეტი სტიქიასთან და ყოველგვარ შესაძლებელ ჭირის თავიდან ასაცილებლად. ნუ დაგვაფიწვდება, რომ შიმშილს გვერდში ამოუდგება ათასგვარი ივად-მყოფობაც. ექიმებით კი, ჯერ ქალაქს იღარ მოეპოვება და სოფელი ხომ სულ უკაცოდ არის დარჩენილი. განსაცდელი დიდია. ამ დროს კვლავ რომანტიკოსობა და დაუჯერებელი დარდიმანდობა ისტორიული ცოდვა იქნება, ცოდვა საშვილი შვილო, რასაც ვერ წაშლის ვერავითარი თავმართლების მკვეთრი მახვილი.

ქართლელი.

დებუტ. საკრებულოს მიერ მოგების განაწილების გამო

ამ დღეებში ხდება განაწილება დებუტატთა საკრებულოს მიერ იმ თანხისა, რომელსაც უწილებს ხოლმე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობი ქართულ საქმეებს და დაწესებულებათ თავის ყოველწლიურ მოგებიდან. ყველამ კარვად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართულ ეროვნულ ცხოვრებისათვის ამ დაწესებულებას. ჩვენ უუფლებო და

ღარიბ ცხოვრებაში თავად-აზნაურობა დებუტატთა საკრებულოს სახით ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელსაც უფლებაცა აქვს და საინტერესო შესწევს ეროვნულ საქმეებს კანონიერ თარგობებში წინ წარუძღვეს. ასეც ხდებოდა დღემდე, მაგრამ ჩვენმა ცხოვრების ანორმალობამ მის მოქმედებასაც ანორმალური კვალი დასდო და არა სასარგებლო ხასიათი მისცა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე დაწესებულება, რომელსაც ბედი იმ ხვედრს აკისრებს ეროვნულ ცხოვრებაში, რა ხვედრიც დღეს დებუტატთა საკრებულოს აწევს თავზე, მოვალეა სალი და გარკვეული შენედელობა იქონიოს ეროვნულ ცხოვრების მსვლელობაში და მას დაუქვემდებაროს თავისი მოქმედება და ხარჯი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან მას რეალური სარგებლობა მოუტანოს ერსაც და იმ წოდებასაც, რომლის სახელით იგი მოქმედობს. სამწუხაროდ, ჩვენს დებუტატთა საკრებულოს მოქმედებას არავითარი კვალი ასეთი შეგნებული, გარკვეული ეროვნული მოქმედებისა არ აძევს. ჩვენ ამითი იმის თქმა არ გვინდა და არც არავინ ჩამოგვართმევს ჩვენს სიტყვებს იმ აზრით, რომ მას არავითარი ღვაწლი არ მიუძღოდეს ეროვნულ საქმეებში. არა, ღვაწლი დიდია, მხოლოდ შედარებით იმასთან რა ხარჯსაც ეწევა და რის გაკეთება შეუძლია, მეტად მცირე და ზოგ შემთხვევაში მანებელიც არის. მთელ მოქმედებას შემთხვევითი და გულშემატკივარ სენტიმენტალურ ქველმოქმედების დალი აზის. დამეთანხმება ყველა, რომ ქველმოქმედებას კერძო ცხოვრებაშიაც არ მოაქვს სარგებლობა, საზოგადო ცხოვრებაში ხომ მაგნე და ყველასაგან დასაგმობია. ყოველივე საზოგადო გროშს მწარმოებითი ხასიათი უნდა მიეცეს, იგი უნდა ინარჯებოდეს ისე, რომ მისი ანაზღაურება რა სახითაც კი მოხდება იგი, უნარუნველყოფილი უნდა იყოს. სამწუხაროდ ბევრს „დანახარჯის და სუბსიდიის“ შესახებ ჩვენ ამას არა ვბედავთ. ფული იპარჯება უახროდ, აუნაზღაურებლად, ბევრ შემთხვევაში ჩვენთვის. მაგნე საქმეზედაც კი. ასეთს უახრო და აუნაზღაურებელ ხარჯად მიგვაჩნია ჩვენ უდიდესი ნაწილი ყოველწლიურ სუბსიდიისა, რომელსაც თავად-აზნაურობა კლასიკურ სწავლა-აღზრდაზე ხარჯავს და რომელიც აღემატება ასიათას მანეთს. რითი ვინაზღაურებთ ამოდენა, ჩვენთვის მეტათ საგრძნობელ, დანახარჯს! მოაქვს რაიმე სარგებლობა ჩვენთვის თუ არა?

ჩვენ უკრნალში (№ 9, 10 და 12) დაბეჭდილი იყო

რამდენიმე წერილი სწავლა აღზრდის შესახებ, სადაც საბუთებით მტკიცდებოდა თუ რა მ ვნე და ვაჩა თანხირებელი გავლენა ჰქონია და აქვს კლასიკურ სწავლა-აღზრდას ჩვენში და რა საბიუჯეტო მომავალს გვიქადის იგი. უმთავრესი დასკვნანი ჩვენის წერილებისა შემდეგი იყო:

1) კლასიკურმა სწავლა აღზრდამ, როგორც შეუფერებელმა ჩვენს ცხოვრებასთან, მოსტაცა ჩვენებს ნასწავლი ნაწილი საზოგადოებისა და შექმნა „მანია“ ჩინოვნიკობისა.

2) მოჩინოვნიკე — ინტელიგენციამ დაპყრობა რწმენა საკუთარი ძალისა, ერის შემძლებლობისა, სხვის ხელის შემაყურებელი გახდა და მით ერის კულტურულ საქმიანობას და მის იდეოლოგიას მეტათ არასასურველი კვალი დასდო.

3) კლასიკურმა სწავლა-აღზრდამ სრულიად მოგვისპო საშუალება აღგვეზარდა ისეთი თავისუფალი კლასი, რომელიც შუამაყულობას გაუწევდა ჩვენ ხალხს მის საჭიროების დაკმაყოფილებაში, მის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებაში; მას ეს დანიშნულება სხვას გადასცა, ჩვენი სიმდიდრე სხვას ჩაუგდო ხელში, მოსულთა ეკონომიური მონები გაგვხადა.

4) კლასიკური სწავლა-აღზრდა თავის არსებით და მიზნით ემსახურება გადაგვარებას, არღვევს და შლის იმ საღ ფუძეს, რომელზედაც ერის მომავალი უნდა აშენდეს.

5) დღეს, როდესაც რუსეთის იმპერიალიზმმა გარკვეული ხასიათი მიიღო და აღვილობრივ სამსახურიდან სდევნის პატარა ერებს — კლასიკურმა გიმნაზიამ დაპყროვა ერთად ერთი თავისი მნიშვნელობა-თბილი ადგილის შოვნა სამშობლოში, ამიტომ ჩვენი ახალგაზდობა რუსეთში იღვეწება, ერს აკლდება.

საკითხავია, ყველაფერ ამის შემდეგ — ასეთ სწავლა-აღზრდის ხელის შეწყობა საკუთარ ხელით უელის გამოქრა არ არის?

ღირს ყველაფერ ამის შემდეგ, რომ კლასიკურ აღზრდაზედ თავად აზნაურობის აღმასრულებელმა ორგანომ ჩაიდინოს ერთნაირი უკანონობა და უსამართლობა მათ წინაშე, ვისი ქონებითაც განაგებს. წესდების ძალით უნდა ისეთი სასწავლებლები დაარსდეს, რომელიც საჭირო კოდნას მიიწოდებს უმწეოთ დარჩენილ სოფლის შემამულეთ.

რომელი კოდნა და ან რა სარგებლობა ნახეს სოფლის შემამულეებმა ასეთ სასწავლებლებში? ეს საკითხავია და ერთხელც იქნება ამ საკითხს

მთელის თავის სიმწვავეთ დააყენებენ ისინი, ვინც არის კანონიერი პატრონი ქონებისა. ეს ასე მიხდება. ამის უტყუარი საბუთია გრძელის კრება, რომელიც ჰქონდა თავად-აზნაურობას თუ რ. ერისათვის თავჯდომარეობით ამჟამად უნდა დღეს სურვილი გამოითქვა, რომ თავ-აზნაურთა საკრებულოს მოქმედება უნდა დაეკვემდებაროს მათ ეკონომიურ აღორძინების საქმეს, ხვალ, უეჭველია ცხოვრების აუცილებლობით შეკვდილი, ეს სურვილი მოთხოვნათ გადაიქცევა, რომლის არ დაკმაყოფილება არაფის არ შეეძლება, რადგან მოთხოვნილი კანონიერი პატრონი არიან ამ საქმისა, და მაშინ, გრძნობს თუ არა გულ-უხვი საკრებულო რა ტრაგიულ წდგომარეობაში აყენებს თვით ამ სასწავლებლებს?

ხომ შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავად-აზნაურობამ უარი უთხრას სუბსიდიასზე? მაშინ რა ყოფაში ჩავარდებიან ქველმოქმედებით მოსახროვე სასწავლებელი?

ი ამ უბედურ დღის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დღესვე შეუმცირდეს სუბსიდია იმ სასწავლებელთ, სადაც თ. აზ — მას არაფითარი გავლენა არა აქვს და მიეცეს დახმარება მხოლოდ იმ პირობებში, თუ სასწავლებელს გარდაქმნიან ისე, რომ მას ჩვენი რეალური ინტერესების სამსახური ჰქონდეთ მიზნათ.

თორე, ცოტა არ იყოს, ასეთი ყოველივე გონივრულ მოსაზრებას მოკლებული, გულ უხვობა ამ სამკედრო-სახეკოცხლო დროს შეუწყნარებელი და გაუძარბებელია.

— ამ წერილით „კლდე“ უკანასკნელად მსჯელობს სწავლა-აღზრდის საქმის შესახებ ჩვენში. მართლი, ბევრი არა გაკეთებულა რა ამ ფრიად მნიშვნელოვან, მაგრამ მეტად უკუღმართ და მავნე პირობებში მიმდინარე საქმეში, მაგრამ ერთნაირი ტრადიცია და გარკვეული შეხედულობა კი უკვე შექმნა და შეიტანა საზოგადოებრივ თვით-ცნობიერობაში ჩვენმა ქურნაღმა. არ შევცდებით, თუ ამ შეხედულობას ორის სიტყვით გამოვთქვავთ: „ეროვნულ — დემოკრატიული სკოლა, რომელსაც თავის აზრად და მიზნათ ჩვენი ცხოვრების სამსახური და სარგებლობა უნდა ჰქონდეს დასახული. ეროვნული ელფერი მისცემს სკოლის პედაგოგიურ სისაღეს და ჯანმთელობას, ურომლისათაც მახინჯია ყოველივე დაწესებულება და სკოლა სკოლა არ არის, დემოკრატიული — თანამედროვე აუცილებელს ხასიათს და ჩვენი ცხოვრების მოთხოვნი-

ლებისადმი დაქვემდებარება — ჩაუდგავს სულს, მისცემს სიცოცხლეს და გამართლებას გონიერს თქმულებას: *non scholae, sed vilitae disco* (ვსწავლობ არა სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის). ნამეტნავად არსებულ საშუალო სწავლა-აღზრდის წესის წინააღმდეგ გამოილაშქრა ჩვენმა ჟურნალმა და აქ, თუ არა ვცდებით, მან პირველმა აღიმაღლა ხმა ჩვენის საზოგადოების კლასიკურ აღზრდით გატაცების წინააღმდეგ, რომელიც მეტათ მაგნეთ მოქმედობდა და მოქმედობს ჩვენ ეროვნულ ინდივიდუალობაზე და ჩვენს კულტურულ-ეკონომიურს ცხოვრებას დიდს ზიანს აყენებდა და აყენებს. მაგრამ, ყველაფერი ეს მეტად მცირედი რამ არის შედარებით იმასთან, რაც უნდა გაკეთდეს ამ დიდ საქმეში. სახალხო სკოლები და საყოველთაო განათლება, საშუალო და უმაღლესი განათლება და სწავლა-აღზრდასთან დამოკიდებული მრავალი სხვა საკითხი, გარეული პოლიტიკა, თუ შინაური „სინჯავსეა, ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რომელთა საღ და სწორე წარმოუდგენელად ძნელია ეროვნული ბრძოლა, ეროვნული სიცოცხლე, საერთო წინსვლელიობა! მეტადრე დღეს გვმართებს სიფხიზლე, როდესაც ასეთი ოლი ტრიადებს და რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროშიაც კი „სარეფორმო“ მუშაობა სწარმოებს. მიუხედავად ამისა კლდე პირნათლად სტოვებს გარკვეულ ტრადიციას და ანდერძს და ეროვნულ — დემოკრატიულ სკოლის მისახწევად აფრიალებულ კეთილშობილ დროშას უტოვებს ყოველდღიურ „საქართველოს“.

ხანდროშვილი

გერმანიის ახალ- შენები აფრიკაში

(გაგრძელება)

II. კ ა მ ე რ უ ნ ი.

გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკას ბუნებით უახლოვდება კამერუნი, რომელიც მდებარეობს თითქმის იმავე სიგანეზე, ხოლო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, და ატლანტის ოკეანეს ნაპირზე ითვლება შეტოქედ: — სამხრეთით ინგლისის მფლობელობათა და აღმოსავლეთით — საფრანგეთისა.

გერმანიის აკადრში ფუხის შედგამი და ამის გამო გამოწვეულმა საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებამ 1911 წ. ძლიერ გააფრთხილა კამერუნი, ასე რომ კამე-

რუნს აწ უკავია 745,000 ოთხკ. კილომეტრი. გაფართოებული ადმინისტრაციის და დასავლეთს გერმანიის სამთავროვლო გადაიჭიმა ორ წვეტით მდ. კონგოს და მის უდაღეს ჩანადრის უბანგისაკენ და მით მისჭრა სოფრანგეთის კონგოს ზღვის პირა კუთხე მის დახარჩენს სამთავროვლო აფრიკაში.

ქვეყნის ბუნება. როგორც გერმანიის ადმინისტრაციით აფრიკაში გამოკრუნის საზოგადოდ წარმოადგენს სწორე მადლობს, რომელიც შესდგება გზებისგან და კრისტალურ სიბთაკან; მასზედ ადგილ-ადგილ ადმინისტრაციულ უძველესი ცენტრ-მთრქვევი კლდეები. ხელა-ხელა მადღება იგი დასავლეთიდან განიერ ვაკეებით, კონგოს ხრამის მხრიდან ჩრდილოეთს და ჩრდილო-სამხრეთისკენ, სადაც მისი უმაღლესი ნაპირი (1000-3000 მეტ. სიმაღლეზე) ჩაწვეტილია ციცაბო მთაგე კბილებით მდ. ბუნუს და შარის დაბლობისკენ, ამ დაბლობის შუაგულში ადმინისტრაციულ განდევნილი კრისტალური მთები (მაგ. ადამაჟა). რომელთა შორის გადახლართულა ჩამქრალი ცენტრ-მთრქვე მთათა დაბალი ჯაჭვი, რომელიც იწეობა გვირგვინის კუნძულებზე და ისობა ტბა ჩადის დასავლეთ ნაპირის ახლო.

გეოლოგიური წარსული და ბუნების აწინდელი არსებობის პირბანი ჯერ-ჯერობით ნაკლებად გამოკვლეული უკვლავია, ხოლო რომ უუძველეს დროითგანვე აქვს შექმნილი ნაჭიანი მთები, ხელა-ხელა დამსხვრეულნი და მიწის პირას გასწორებული ქართა ბევრის წყალბით აფრიკის სხვა და სხვა ადგილების შედარებით უარყოფობენ, რომ გამოკრუნის მადლობა განსაზღვრულია ჩრდილოეთიდან და ზღვის მხრიდან დაცემულ ხაზებით, რომელნიც შექმნილია მესამე ეპოქაში;

მადლობის გულზე მდინარეებს აქვთ სწორე კალაპოტი, და მათი მშვიდი დენა ჩანქრდება მხოლოდ იქ, სადაც წყალი ჩამობის ზემო ვაკედამ ქვემოზე უშუტესად ფართო ადგილებზე, როგორც არის, მაგალითად, მადლობის დასავლეთი მხარე, წყლები ჩრდილოეთის და ქვემნიან უზარ-მაზარს ჭაბებს.

მადლობის დაშორებულნი მდინარეები ამოფთებულ ჩადრდნებით და სწრაფი ზვირთებით ეტევიან მიდამას; ზოგი მათგანი ჩარბის ზღვაში, ზოგი უერთდება მდ. ბუნუს, ნიგერის სართავს, რომელიც ერთვის ტბა ჩადს, ან კონგოს სართავს მდ. სანგას. მათი უშუტესი სწილი ვარჯა გემთა მიმოსასვლელად.

ზღვის პირას დაბლობში ფართო და დრმა უურეებს, რომელნიც გემთა სუკეთესა სადგურებს წარმოადგენენ; მაგ. მდ. გამოკრუნის ზღვის სართავი ვარჯა აკყახეს გემთათვის.

მაგა. ტრეპიკულს ქამარს, რომელში მდებარეობს

ქვეყანა (0°—13° ჩრდილო ნახევარ სფეროს) აქვს ცხელი ჰავა, და ეს ჰავა აღუჩენს ევროპელის სხეულს, თუმცა ქვეყნის შუაგულში ტბის ჩადის ახლოს, სითბო განსხვავდება 11°; ასეთივე განსხვავება აქვს მადლობის ჰავას სადაც საზოგადოდ, უფრო გრილა (წლიური 22,5°-18,10), ვიდრე ზღვის ნაპირზე (წლიური 25-28°.)

დასავლეთს მხარეს ირკვევა წლის ოთხი დრო: გაზაფხული და შემოდგომა აქ ნიადაგისა იცის, გაზაფხულში და ზამთარში კი იშვიათად წვიმს; რაც მეტს ვტილდებით ეკვატორს, იმდენათ ცხადად ირკვევა სიმშრალე და მასთან ერთად გრძელდება ზამთრის მშრალი ხანა, გაზაფხულისა კი მოკლდება და ბოლოს და ბოლოს ისობა, ასე რომ ქვეყნის ჩრდილოეთს მხარეს გარეგონ ხოლო წლის ორს ხანას: გაზაფხულის—წვიმიანს და ზამთრისას—მშრალს.

კლდეების ქარისკენ მიბრუნებულს ფერდობებზე წვიმს მთელის წლის განმავლობაში ამ სინტიკის აძლევს გამოკრუნს არა მარტო მახლობელი თკახე, არამედ წყლებით მდინარე კონგოს.

ქვეყნის შუაგულში იშვიათად წვიმს სახარისკენ, როგორც ვუვლან, ტრეპიკოს შორის წვიმის ხანას მდინარეები საშინლად იზღებან, გამოდინ კალაპოტი-დამ, ხოლო მშრალს ხანას იღვეიან, როცა ქვეყანას დაქქრთან მშრალი ჩრდილო-ადმინისტრაციის პასსატები.

მცენარეულობა. ზღვის ნაპირი დაფარულია მანგრის ბუჩქნარით, რომელსაც აქვს გაშტოებული ჰაეროვანი ფესვები, რომლებსაც არწვენ სხვა ხეების ღეროები- დაბურული ტროპიკული ტყე ჰეარავს ჭაბობის ზღვის ნაპირის დაბლობს და მადლობის ჩაწვეტს. უჭაობო ადგილებში ტყე იზრდება ისე მშვენიერად, რომ დაბურული ტყიური მწვანეულობა ქსოვს დაურღვევს თაღს, რომლის სიმაღლე აღემატება 20—60 მეტ; ამ თაღის ქვეშ სუფევს ნატო ბინდი და მგზავრის წინ დგანან მხოლოდ დაუბოლოებელი ჭიკრად ჩამწკრივებული თაღის ფერის ხეების რიგები; ზოგან კი გზა გადახლართულია ლიანების ბადებით. სამაგიეროდ, ჭაბებში ხეები სხ. და სხ. სიმაღლისანი არიან, 900 მეტრის სიმაღლეზედ ტყე უნდა ისობა და ადგილს უთმობს ტრეპიკულს, ბაღის მაგვარს სავანებს და მინდვრებს, რომელთაც უჭერიათ მადლობის უშუტესი ჩაწილი, სმილას ჩაღახი და სხვა სქელ კანიანი ბაღახეული. აქ არამც თუ ჰეარავს ადამიანს, არამედ ადგილ-ადგილ აურილან 7 მეტ. სიმაღლეზე. ხოლო მდინარეთა ნაპირები და ჭაბობანი ხრამები აშკარად მოჩანან აქ თაღისი ტყიურის ჯაგების თაღხი ადგილებით. დრუბელთა ტყეები ავვირგვინებენ მთების ზოგიერთს მწვერვალებს, უშუტესად ქვეყნის ჩრდილო-სამხრეთს მხარეს.

პირუტყვთა ქვეყანა. ცოტათი განსხვავებულია ადმინისტრაციით აფრიკის ქვეყანასთან შედარებით, ხალხი პირუტყვთა რიცხვი აქ ნაკლებია. ტყეებში ცხოვრობენ ჭორბაღა, შინხანზი, ნახევარ-მაიმუნი, შრავალი ფრინველი, ტყეში და სავანეში ბუნჯაბუნს დიდდონი ჩლიქიანი პირუტყვნი. განსაკუთრებით სავანეში კი შრავალი ცხენ-ირემა, ხრამუნა, ავასა, კუკლი და სვითქი, ხარაბუზი, როგორც სჩანს, არ ცხოვრობს აქ; სამაგიერად მარტორქა და სირაქლემა არსებობენ. ხალხი წითელიკანი. აქაურთაბის სტუმარია ხალხი დომად.

გ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)



ომი და ჩვენი მატიაზე

VIII

წარმოუდგენელი და უმაგალითო არის ეს ომის კვლავ „კდიურ წვრილ დაზედ მეტად მაღლა მფრინავი ადამიანის გონება—დღეს უკან ჩამორჩა „ჭეშმარიტს“ ამბებს და თითქოს დამარცხებულის რაღაცა დარცხვენილობით წვალობს და სკდილობს თავსამტვრევ ამოცანის ახსნას. დღე პატარა და ერთია და დღეს, არა ჩვეულებრივად აბობოქრებულ, ცხოვრების სინამდვილის ნაბიჯი კი ათასი და საზარალო რამ განუზომელია. სკდილობს ადამიანის გონებაც და ფიქრიც მიჰყვება მას, ფიქრი ფიქრსაც სცვლის, იმედი იმედს, წყლული-წყლულს. ძნელია ასეთ ამბების შემათიანობა, კვირიდამ-კვირამდე საერთო რამის, უკვე დამჩნეული კვალის აღნუსხვა, უფრო ადვილია ყოველ—დღიური ამბავზე აზრის გაზიარება, აღნუსხვა მომხდარისა თვინიერ დამჩნეულ კვალისა და მოსალოდნელ შედეგებისა. ეს მომავალი ყოველ დღიური „საქართველოს“ საქმე იყოს, დღეს კი „კლდეს“ უნდა აღნიშნოს ის, რაც ქართველის სრბოლაში

ჩვენი ერის აშკარა თვისებას და მებრძოლანესათვის ძვირუფას და პიტალო მასალოს შეადგენს.

ერთი რამის კი გვეკრძალებოდა: არ ვიცით, დაობლებულნი ვართ თუ არა, როგორ შევხედავს ჩვენს სიტყვებს, ძვირუფას დანაკარგისს მაგიერა სამაგიერო ნუგეშს დაინახავს ჩვენ აზრში? ჩვენ კი ამ ძვირუფასმა დანაკარგმა ერთი რამ დაგვანახვა: საქართველო მკვდარი არა ყოფილა, ქართველს ჰქონია ძლიერი ძალა, იქამდის ძლიერი, რომ მოუხედავად იმისა, რომ წვეთი ვართ ზღვაში ამ საერთო ალუფხვისა და ოლონტრიალის დროს, ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი ეროვნული პირადობის ამოღობა, სხვებისაგან განსხვავება იშვიათია ბრძოლა, რომ ქართველს თავი არ ეჩინოს! სარაკამიშის და გ—ი ვა—ძეებით, დასავლეთის ფრონტი—ტ, ბ—ბით კერძო მოვლენა არ არის! რუსეთის პრესსა ერთ ხმით იმოწმება, რომ ყოველი ჩვენი „ტუტია“—სულით და საომარ ენერგია—უნარით გ—ი და ვ—ძვა!

სულ სხვა კითხვაა — რა ფასი აქვს ამას დღეს ჩვენთვის, რა ნუგეშსა სცემს ჩვენს მწუხარე სულს, იქნება ერთნაირად ჩვენ შეგნებას ეხოთირებოდეს კიდევ?!

ეს სხვაა! დღეს კი იგი აშკარათ დამამტკიცებელია იმისა, რომ ერს ძალა ჰქონია, სკოლია თავგამოდება და ჰქონია უნარი ამ თავ გამოდგობის დაცვისათვის! ყოფილა ის რასაც შეუნახავს და დაუცავს საქართველო მრავალ საუკუნოებითი ცუცხლისა და განსაცდელისაგან!

ეს კი უტყუარი საბუთია საქართველოს სიცოცხლისა, მისი დღევრძელობისა!

შამქორი.

სხვა და სხვა ამბები

★ სალიტერატურო საღამო პოეტის ვაჟა-ფშაველას პატივსაცემლად. ქართულ სიტყვ-კაზმულ მწკრივების საზოგადოების საბჭომ საბადაოდ შეიმუშავა შრატრამა სალიტერატურო სამხატვრო და სამუსიკო სადამასი, რომელიც შპ მასს უნდა გაიმართოს ტფ. სასახანო თეატრში მხატვის ვაჟა ფშაველის პატივსაცემლად. საღამო სამ. შრავალ-ფეროვან განუყოფალი-

საგან შესდგება. სიღამაში თუთა შიშის ფაქტობრივად
 შიშის მონაწილეობას. დაწვრილებითა შიშის მონაწილეობას სი-
 ტყუილად სწავლების საშუალებების გამოყენების
 გახეობაში. ბილეთები უკვე იყიდება სასაზიზო თეატ-
 რის კასში.

★ **შიშის შიშობა დახვედრით საქართველოში.**
 როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უმად დასაფლავთ სი-
 ქართველადში საშინელმა შიშის შიშობამ ხინა თავი. ბუ-
 რია მაკალითი თვის შიშისა, არსად თქვილი, არსად
 რაიმე სწავლა. შიშის შიშის განადგურება ელის.
 შიშის შიშის ხელს არსად სწავს, ამას დაუმართო სიტყვა
 და ბუღარი, რამაც სულ ერთიანად განადგურა ხინა-
 ხილესი. შიშის შიშის რა არის, ისიც ვი არც ერთს თქვი-
 ში არ მოიბოუება, რომ უმად დასაფლავთ სი-
 ქართველადში შიშის შიშობამ განადგურა. ასეთი ეკლიში
 ური კლიში დასაფლავთ საქართველოს და განსაკუთრე-
 ბით უკლიში არ უხინა. საჭიროა ეხვედრითი სიტყვის
 შესდგენა. თავი უხინათ სხვათა შიშის, უმად დასაფლავთ
 სიტყვა თავს, დაუხინათ ხინა სიტყვის.

(ქურნალ გახეთქებიდან)

ლიბანაში. გერმანელთა მიერ დაჭრილ ხუთსა-
 გურ ლიბანაში ამ უმად გახეთქებულ მუშობა. ქალის
 გომესდატად დახინა ხუთსა გერმანელთა მიერ დაჭრილ.
 ქალის ხინა დაღეს 500 სასი მარკა (250 სასი მ-
 სითი), რატომ უმად არ დაგხებდით. გერმანელთა
 2,000 მარკა მარკას მოუყარეს თავი და თხინა
 აგეთებენ ქალის განადგურებად. ასევე ამარკებენ გრ-
 ბებს და მის შიშის შიშობას. ლიბანის ხუთსაგურნიდან გაქვით
 აურებელი ხინა, სხილენილად და განსაკუთრებით
 შიშის, საქონელი. განსაკუთრებით დაღეს შიშის, საქ-
 ნელი და ტყუილად წაუღიათ შიშის და მის რაი-
 ნიდან. (რ.)

★ **გერმანელთა მუქარა.** იტალიის გამოსვლამ
 შიშის შიშობა ადამიანს. ენთუხიანში შიშის შიშობა
 შიშის, ხინა მუქარა გერმანელთა შიშის. „ბურლინელ
 ტაქტიკაში“ გერმანელთა შიშის ხინა ირწმუნებინ,
 შიშის ხინა რისხვა ამარკიდან იტალიას დატყდება
 დასაფლავთ. ხინა შიშის შიშობა ამარკიდან, თუ როგორ უნდა
 დატყდება ხინა შიშის შიშობა გერმანელთა, სიგურთა
 საშინელთა შიშის შიშობის ახგარამით, იტალიის ფრანტ-
 სე უხინათ 200 სასი შიშისი და ბუღარი, 120
 სასი ფრანტისი. გარდა ამას სწავლა თავი მოუყარეს
 600 სასი ხინა.

★ **ბულგარეთი რუსეთის შიშის შიშობა.** „ნო-
 ვრ.“ ატობინებენ, თუ ბულგარეთის შიშის შიშობის
 შიშისი ერთ დროს შიშის დაღეს შიშის შიშობის შიშის
 რისს და „ბრატუნა“ რუსეთს: „გადამართ გახეთქის და
 შიშის შიშობით შემდეგ შიშის შიშობის წერილებს: „რუ-
 სეთის გამგებლობა“, „რუსეთის სასინდარი შიშის შიშობა-
 და“, „რუსეთის არმიის და რუსულ შიშის შიშობის შიშის
 შიშის“, „რუსეთის სულთა ბრძოლა“, „შიშის შიშობის სიტყვა-
 რი და ბულგარეთის შიშის შიშობის შიშის შიშობა“,
 „განმათავისუფლებელი ვი არა დამონებელი“, „განმათავის-
 წილ წიქება“, „რუსეთის დამონებლობის ბრძოლის შიშის“,
 „რუსეთის ხინა“ და სხვა.

★ **„ტრიუმფის“ დაღეს.** დაღესის სიტყვაში
 ხინა ხინა ხინა ხინა დაღეს ინგლისელთა შიშის
 ხინა „ტრიუმფი“.

★ **„მაქსტიკის“ დაღეს.** 15 მაისს და-
 ლით, წაღეს ხინა დაღესის სიტყვის დაღეს
 ხინა ინგლისელთა შიშის შიშობის „მაქსტიკი“.

★ **ურმიის იღება.** დაღესიანში რუსის ხინა
 დაღეს ქ. ურმიის.

★ **ვილნისის ტელეგრაფი.** გერმანელთა შიშის
 შიშის გერმანელი შიშის სწავლა: რუსთა ხინა
 შიშის შიშობის შიშის შიშობის ატყეს. ბრძოლა ხინა-
 ტიკის სასი სწავლობის შიშის შიშობის გარეშობა.
 სწავლა გამარჯვებთა გამო გერმანიას გადაჭარბებულ ად-
 ფრთხინებს ეღეს. ვილნისში ხინა რინა დაღეს შიშის
 შიშის შიშობის გამარჯვება გერმანელ შიშის შიშობის: „თქვი-
 ნი გამარჯვებთა ხინა შიშის შიშობით ხინა შიშის შიშობის
 არმიამ გაარღვია რუსეთის ფრანტი გერმანეთის და ვი-
 სლას შიშის, ხინა იღეს შიშის დაღეს და ერთიანად
 შესდგა მარკის შიშის შიშობა, რომელიც გერმანეთ-
 ბის უმად უღეს შიშის შიშობის შიშის შიშობის. შიშის შიშობის შიშის
 შიშის გერმანელ ხინა და ხინა შიშის სასი! გარდაგ-
 შიშის შიშობის თხინის შიშის და ხინა“ (ბ. ვ.)

რედაქტორ-გამომცემელი
 რ. ვაბაშვილი



24 მაისიდან ტფილისში გამოვა ნაცვლებდ ჟურნალ „კლდის“ ელ-
ველ-დღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დაბეჭდვამდე 5 მან. ჰირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“
სელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი,
გაზეთი გაეკისაუნებად 1 მუთათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул., № 4.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.